გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლა ფოტოებისა და რუკების გამოყენებით

მაია ბლიაძე

ყველა მასწავლებლისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სწავლის შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია თუ როგორ, რა ხერხებით, რის მეშვეობით შეგვიძლია შევასწავლოთ მოსწავლეს ეს შინაარსი, ანუ რომელი და როგორი მეთოდები, რა სახის რესურსები უნდა გამოვიყენოთ ამისათვის.

გეოგრაფიის სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებების გამოყენებას. მათ აქვთ, როგორც ვიზუალური, ასევე ინტელექტუალური დატვირთვა. ასეთი მასტიმულირებელი თვალსაჩინოებები იწვევს დადებით ემოციებს, რაც თავისთავად აისახება შედეგზე - იზრდება მოსწავლეთა აქტივობა გაკვეთილის პროცესში და ხელს უწყობს სააზროვნო, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარ - ჩვევების გამომუშავებას. ვიზუალური მასალა ხელს უწყობს შესასწავლ საკითხზე კონკრეტული წარმოდგენის შექმნას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა გონებაში მათ ცოცხალ და ღრმად ჩაბეჭვდას, საფუძვლიანად გააზრებას.

გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ დავალებას, რომლიც შედგენილია სხვადასხვა სახის თვალსაჩინოების, კერძოდ კი ფოტოებისა და რუკების გამოყენებით. მსგავსი დავალებების შედგენა თითოეულ თქვენგანს შეუძლია სხვადასხვა თემასთან თუ საკითხთან მიმართებაში.

საკითხი: მსოფლიო ოკეანე.

დავალება: ფოტოების მიხედვით დაადგინეთ მსოფლიო ოკეანის ნაწილები (ყურე, სრუტე, კუნძული, ნახევარკუნძული და სხვ.) და თითოეულს მიუწერეთ შესაბამისი დასახელება.

N1

N2

N4

N5

N6

N7

N8

N9

N10

N11

N12

საკითხი: კუნძულები

ნაბიჯი №1: ამოიცანით რომელი გეოგრაფიული ობიექტებია გამოსახული სურათებზე.

1	2	3	4

ნაბიჯი № 2: თითოეულ ფოტოსურათს მიუწერეთ № 1 დავალებაში მოცემული იმ გეოგრაფიული ობიექტის ნომერი, რომელსაც ეს ფოტო შეესაბამება.

საკითხი: აფრიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული რეკორდები

დავალება: რუკის გამოყენებით განსაზღვრეთ აფრიკის რეკორდები, აღნიშნეთ ისინი რუკაზე და შეავსეთ ცხრილი.

1.ყველაზე დიდი უდაბნო დედამიწაზე

2.აფრიკის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი

3.ყველაზე დიდი არხი

15.ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მთები

4.ყველაზე ღრმა ქვაბული

5.აფრიკის უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი

14.აფრიკის უკიდურესი დასავლეთი წერტილი

6.ყველაზე დიდი ნახევარკუნძული

13.აფრიკის ყველაზე მარილიანი ტბა

7.ყველაზე დიდი ტბა

12.აფრიკის ყველაზე დიდი ყურე

8.ყველაზე მაღალი მწვერვალი

9.ყველაზე დიდი კუნძული

11.აფრიკის უკიდურესი სამხრეთი წერტილი

10.ყველაზე სამხრეთით მდებარე მთები

ცხრილი N1

N1	N2	N3	N4	N5
N6	N7	N8	N9	N10
N11	N12	N13	N14	N15

საკითხი: ანდების მთები

დავალება: რუკის (ატლასის), სახელმძღვანელოს, დამატებითი მასალების გამოყენებითა და მოცემული გეგმის მიხედვით აღწერეთ ანდების მთები

გეოგრაფიული მდებარეობა და წარმოშობა: კონტინენტის რომელ ნაწილში მდებარეობს ანდების მთები და როგორი წარმოშობისაა ისინი?



მთების მიმართულება და განფენილობა: რომელი მიმართულებითაა ანდები გადაჭიმული? გამოთვალეთ ანდების განფენილობა კმ-ში.

ვულკანიზმი ანდებში: რატომ გვხვდება ანდების მთებში ბევრი ვულკანი? ჩამოთვალეთ მოქმედი და ჩამქრალი ვულკანები. რომელია ანდების უმაღლესი მწვერვალი და რას უდრის მისი აბსოლუტური სიმაღლე?



სასარგებლო წიაღისეული: რომელი სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება ანდებში? ახსენით მათი განლაგების კანონზომიერებები.

ანდების კლიმატი: ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით რომელ კლიმატურ სარტყლებში მდებარეობს ანდები? რომელი კლიმატური კანონზომიერება შეინიშნება ანდებში? რომელი უდაბნო მდებარობს მთებში და რითია ის ცნობილი?

ქვეყნები: რომელი ქვეყნების ტერიტორიაზე ვრცელდება ანდები და რომელი ქალაქები მდებარეობს ამ მთებში?